## სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
## აკადემიური საბჭო
## დადგენილება №01-05-04/18

ქ. თბილისი 14 თებერვალი 2018

**სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დებულების და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, სტუ-ის წესდების მე-8 მუხლის, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ნ. იმნაძის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №1 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დებულება და სტრუქტურა წარმოდგენილი სახით;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), დაამტკიცოს აღნიშნული დებულება და სტრუქტურა;
3. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს პროფ. ნ. იმნაძე;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე